# სტუდენტთა გამოკითხვის ანალიზი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთ მექანიზმად იყენებს სტუდენტთა პერიოდულ გამოკითხვას სასწავლო პროცესის სრულყოფისა და სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნის მიზნით. აღნიშნულთან დაკავშირებით სტუდენტთა გამოკითხვა მიმდინარეობს ორი მიმართულებით:

I. მარკეტინგის, პროექტებისა და ღონისძიებების მართვის სამსახურის მიერ;
II. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ;
III. ლექტორ-მასწავლებლების მიერ (საკუთარი თავის და სასწავლო კურსების შეფასება).

**სტუდენტების გამოკითხვის ძირითადი ამოცანებია:**

- ✓ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა;
- ✓ სწავლა/სწავლების მეთოდების სილაბუსთან შესაბამისობის კვლევა;
- ✓ შეფასების სისტემის კვლევა;
- ✓ ლექტორ-მასწავლებლების შეფასება.

<u>**უნივერსიტეტის მარკეტინგის, პროექტებისა და ღონისძიებების მართვის სამსახურის**</u> მიერ კვლევის ჩატარების მიზანია:

- ✓ სასწავლო გარემოს;
- ✓ სტუდენტთა ლექცია-პრაქტიკულ მეცადინეობებზე დასწრების;
- ✓ კურიკულუმის გარეშე აქტივობების;
- ✓ საუნივერსიტეტო სასწავლო კურსების სწავლებისა და შეფასების სისტემის არსებული მდგომარეობის შემოწმება ნიმუშებად წარმოდგენილია მონაცემები რამდენიმე საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით **(იხ.დანართი 1, დანართი 2).**

**„სამართლის“ საბაკალავრო პროგრამა ( I კურსი)**
**2016 სასწავლო წელი, ნოემბერი**

კვლევა განხორციელდა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტიეტის, ბიზნესის სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, სამართლის საბაკალავრო პროგრამაში არსებული გამოწვევების გამოსავლენად.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო **48** (I კურსის სტუდენტები) რესპოდენტმა (10-მა უარი განაცხადა). მათთვის მიწოდებულ იქნა ანკეტა (იხ. დანართი 1), რომელიც ითვალისწინებდა მათ დამოკიდებულებას არსებული პროგრამისადმი, შეთავაზებულ იქნა, თუ რა ტიპის ცვლილებებს დაუჭერდნენ ისინი მხარს.

კვლევამ გვიჩვენა შემდეგი შედეგები:

1. **კითხვაზე - „მოახდინეთ თუ არა სათანადო შეგუება საუნივერსიტეტო ცხოვრებასთან?" დაფიქსირდა შემდეგი შედეგი (იხ. ცხრილი №1-№2):**




ცხრილი №1




ცხრილი №2

აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა **58%-მა** (28 სტუდენტი) მოახდინა საუნივერსიტეტო ცხოვრებასთან სრული ადაპტაცია; **36%-ის** (17 სტუდენტი) მიერ დაფიქსირდა პოზიცია, რომ

სასწავლო პროცესის პირველი კვირა მათთვის ყველაზე რთული აღმოჩნდა, თუმცა თანდათან ახდენენ სისტემასთან ინტეგრაციას და არსებული წინააღმდეგობების დაძლევას. მხოლოდ სამმა სტუდენტმა ჯერკიდევ ვერ მოახერხა სასწავლო პროცესში აქტიურად ჩართვა.

2. **კითხვაზე - „ფლობთ თუ არა ამომწურავ ინფორმაციას სამართლის საბაკალავრო პროგრამისა და შეფასების სისტემის შესახებ? რა არის თქვენთვის ბუნდოვანი ან გაურკვეველი?"- დაფიქსირდა შემდეგი შედეგი (იხ. ცხრილი №3-№4):**




ცხრილი №3




ცხრილი №4

გამოკითხულთა **57%** (28 სტუდენტი) ფლობს ამომწურავ ინფორმაციას სამართლის საბაკალავრო პროგრამისა და შეფასების სისტემის შესახებ. სტუდენტები აღნიშნავენ, რომ ლექტორები და ტუტორები მათ ინფორმირებას დროულად ახდენენ, შესაბამისად გაურკვეველი და ბუნდოვანი არაფერი აქვთ.

საპირისპიროდ რესპოდენტთა **43%-მა** (20 სტუდენტი) აღნიშნა, რომ მათთვის ბუნდოვანია საგამოცდო და აქტივობის ქულების გაანგარიშების სპეციფიკა; ამასთანავე, სამართლის საბაკალავრო პროგრამაზე არსებულ გაცვლით პროგრამებში ჩართვის შესაძლებლობები.

3. **კითხვაზე - „სასწავლო წლის დაწყებიდან დღემდე შეხვდით თუ არა რაიმე სახის სირთულეს? რა საშუალებით მოახდინეთ პრობლემის დაძლევა?" - დაფიქსირდა შემდეგი შედეგი:**

**ტექნიკური ხასიათის პრობლემები**:

- ელექტრონული დეკანატის გაუმართავობა;
- ბიბლიოთეკაში სახელმძღვანელოების არასაკმარისი რაოდენობა;
- უხარისხო დაფები აუდიტორიებში;
- ყველა აუდიტორიაში არ არის პროექტორი დამონტაჟებული
- აუდიტორიებში განთავსებული სკამები ხელს უწყობს ხერხემლის დაავადებების განვითარებას, შეუძლებელია საათობით იმ სკამებზე ჯდომა

**სწავლა/სწავლებასთან დაკავშირებული სირთულეები:**

- იურიდიული ტერმინოლოგიის გაგება;
- საგამოცდო მასალის არა საკითხების სახით რანჟირება, არამედ უბრალოდ გავლილი ხუთკვირეულის თემატიკების ერთად გადაცემა ლექტორების მიერ, რაც საბოლოო ჯამში იწვევს სტუდენტის მხრიდან საკითხების ზოგადად გაცნობას და გამოცდაზე კონკრეტული თემის დასახელების გამო დაბნეულობას;
- 4 პრაქტიკული მეცადინეობის ერთ დღეს გაწერა, რაც შეუძლებელს ხდის ყველა საგნისათვის სრულყოფილად და აკადემიურად მომზადებას.

4. **კითხვაზე - „ხართ თუ არა კმაყოფილი სააუდიტორიო მუშაობის შედეგებით, რას შეცვლიდით?" დაფიქსირდა შემდეგი შედეგი (იხ. ცხრილი №5):**




ცხრილი №5

გამოკითხულთა **44%** გამოთქვამს სრულ კმაყოფილებას სააუდიტორიო მუშაობის შედეგებით; აღნიშნავენ, რომ უპირველეს ყოვლისა ლექციათა გაცდენა არ ფიქსირდება; ლექტორები მოტივირებულნი არიან.

გამოკითხულთა **56%-მა** ძირითად პრობლემად დაასახელა სტუდენტთა სიჭარბე ლექციაზე. აუდიტორიაში ორმოცდაათზე მეტი სტუდენტის დასწრება შეუძლებელს ხდის ყველა მათგანის ინდივიდუალურ კონტაქტს ლექტორთან და შესაბამისად, სააუდიტორიო მუშაობით მაქსიმალური შედეგის მიღებას.

5. **კითხვაზე - „ დეტალურად გაგაცნოთ თუ არა ყველა ლექტორმა სილაბუსი?"- დაფიქსირდა შემდეგი შედეგი (იხ. ცხრილი №6):**




ცხრილი №6

გამოკითხული **48** სტუდენტიდან **31-მა** აღნიშნა, რომ ყველა ლექტორისაგან მიიღო დეტალური განმარტება საგნის სილაბუსთან დაკავშირებით, ხოლო **17-მა** საპირისპირო აზრი დააფიქსირა, კერძოდ ყველა საგნის სილაბუსი მათთვის არ გაუცვნიათ.

6. **კითხვაზე - „რა საშუალებებს იყენებენ ლექტორები თქვენი პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებისათვის?" დაფიქსირდა შემდეგი შედეგი (იხ. ცხრილი №7):**




ცხრილი №7

გამოკითხულთაგან უმეტესობამ - **33-მა** სტუდენტმა აღნიშნა, რომ მათი პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებისათვის ლექტორთა მიერ გამოყენებულია სხვადასხვა მეთოდი: პრეზენტაცია; დისკუსია; როლური თამაში; საქმეთა გაცნობა პრაქტიკიდან (Case Study) და სხვ. რესპოდენტებმა კმაყოფილება გამოთქვეს არამარტო გამოყენებული მეთოდების, არამედ თავად ლექტორთა მოტივაციის მიმართ. აღნიშნული მოწმობს, რომ აკადემიური პერსონალის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნები, განსაკუთრებით სასწავლო კურსების კომპეტენციათა შეთვისების კუთხით მაქსიმალურადაა მიღწეული.

7. **კითხვაზე - კმაყოფილი ხართ თუ არა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხრიდან თანადგომით და ინფორმირებით თქვენს სასწავლო პროგრამასთან დაკავშირებით? დაფიქსირდა შემდეგი შედეგი (იხ. ცხრილი №8):**




ცხრილი №8

გამოკითხულთა **33%** გამოთქვამს კმაყოფილებას ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანადგომასთან მიმართებით. აღნიშნავენ, რომ საჭიროების შემთხვევაში ხდება მათი დროული ინფორმირება და თანადგომის აღმოჩენა.

8. **კითხვაზე - თქვენი აზრით, რა უნდა გაკეთდეს უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის დასახვეწად და საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის გასაუმჯობესებლად? დაფიქსირდა შემდეგი შედეგი (იხ. ცხრილი №9):**




ცხრილი №9

გამოკითხულთა **44%** გამოხატავს ცალსახა დადებით დამოკიდებულება სასწავლო პროცესისა და საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის მიმნართ. რაც შეეხება განსხვავებულ პოზიციებს, ითვალისწინებს რა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გამოთქმულ მოსაზრებებს გთავაზობთ შემდეგ რეკომენდაციებს:

**ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაციით საჭიროა:**

**ტექნიკური კუთხით:**

- ელექტრონული დეკანატის ფუნქციონირების გაუმჯობესება;
- ბიბლიოთეკაში სახელმძღვანელოების რაოდენობის გაზრდა;

- სააუდიტორიო ინვენტარის განახლებაზე ზრუნვა;
- აუდიტორიების აღჭურვა პროექტორებით

**სწავლა/სწავლებასთან დაკავშირებული სირთულეები:**

- ლექტორთა მხრიდან განსაკუთრებული ძალისხმევის გამოვლენა საიმისოდ, რათა სტუდენტებმა უკეთ მოახდინონ რთული იურიდიული ტერმინოლოგიის გაგება;
- საგამოცდო მასალის საკითხების სახით კონკრეტიზება;
- პრაქტიკულ მეცადინეობათა განრიგის მოდიფიცირება.

**ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური**

**შეაფასეთ „სამართლის“ საბაკალავრო პროგრამა**

I. მოახდინეთ თუ არა სათანადო შეგუება საუნივერსიტეტო ცხოვრებასთან?
---
---
---

II. ფლობთ თუ არა ამომწურავ ინფორმაციას სამართლის საბაკალავრო პროგრამისა და შეფასების სისტემის შესახებ? რა არის თქვენთვის ბუნდოვანი ან გაურკვეველი?
---
---
---
---
---

III. სასწავლო წლის დაწყებიდან დღემდე შეხვდით თუ არა რაიმე სახის სირთულეს? რა საშუალებით მოახდინეთ პრობლემის დაძლევა?
---
---
---
---
---

IV. ხართ თუ არა კმაყოფილი საუდიტორიო მუშაობის შედეგებით, რას შეცვლიდით?
---
---
---
---

V. დეტალურად გაგაცნოთ თუ არა ყველა ლექტორმა სილაბუსი ?
---
---
---

VI. რა საშუალებებს იყენებენ ლექტორები თქვენი პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებისათვის?
---
---
---
---

VII. კმაყოფილი ხართ თუ არა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხრიდან თანადგომით და ინფორმირებით თქვენს სასწავლო პროგრამასთან დაკავშირებით?
---
---
---

VIII. თქვენი აზრით, რა უნდა გაკეთდეს უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის დასახვეწად და საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის გასაუმჯობესებლად?

---

---

---

**გმადლობთ თანამშრომლობისთვის!**

აღნიშნული სამსახურის მიერ საუნივერსიტეტო გარემოს კვლევის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ზოგადი ტენდენციები:

- ✓ სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად შესაბამისი ტექნიკური ბაზის სრულყოფა;
- ✓ სასწავლო- მეთოდური ლიტერატურის მეტად ხელმისაწვდომობა;
- ✓ ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;
- ✓ სტუდენტების ინერტულობა კურიკულუმის გარეშე აქტივობების მიმართ.

ასევე, მარკეტინგის, პროექტებისა და ღონისძიებების მართვის სამსახურმა 2017 წლის ივნის-ივლისში (საგამოცდო სესიის დროს) ჩაატარა სტუდენტთა გამოკითხვა ***<u>სააუდიტორიო მუშაობაზე დასწრების</u>*** საკითხებთან დაკავშირებით. გამოკითხაში მონაწილეობდა უნივერსიტეტის სტუდენტების 78%. სტუდენტების 28% აფიქსირებს, რომ გაცდენის მიზეზი სწავლასთან ერთად დასაქმებაა.

გამოკითხვების შედეგებით **კურიკულუმის გარე აქტივობებით** დაკავებული არის გამოკითხულთა 20%. ასეთი აქტივობების არსებობას მნიშვნელოვნად და აქტუალურად მიიჩნევს გამოკითხულთა 75%.

ჩატარებული იქნა სტუდენტთა გამოკითხვა მათემატიკური კურსების(როგორც საუნივერსიტეტო სასწავლო კურსების) სწავლების პროცესის შეფასების მიზნით. წლების მიხედვით ფაკულტეტის სტუდენტთა მოსწრების ანალიზი აჩვენებს, რომ მათემატიკურ საგნებში იმ სტუდენტთა მოსწრება (პირველი გასვლებით), რომელთაც სახელმწიფო მისაღებ გამოცდებზე მეოთხე საგანი ჩაბარებული აქვთ მათემატიკა, საშუალოდ 20%-ით მეტია სხვა მეოთხე საგნების ჩაბარებულ სტუდენტთა მოსწრებაზე. კვლევამ აჩვენა, რომ ძირითად პრობლემად იკვეთება მათემატიკაში დაბალი საბაზო ცოდნის დონე. სტუდენტების აზრით სასწავლო კურსს აქვს დიდი მოცულობა და დიდია მეცადინეობების რაოდენობა. სწავლების დონის ამაღლების თვალსაზრისით გამოკითხულთა 40%-ისათვის მთავარია ინფორმირებულობის ხარისხის გაზრდა. სტუდენტებს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია სპეციალობებისათვის მათემატიკური ცოდნის მნიშვნელობის შესახებ. გამოკითხულ სტუდენთა 27%-ის აზრით საჭიროა საბაზო ცოდნაში არსებული ხარვეზების შევსება.

მარკეტინგის, პროექტებისა და ღონისძიებების მართვის სამსახური სტუდენტების გამოკითხვის ანალიზის შედეგებს უგზავნის შესაბამის სამსახურებს შემდგომი რეაგირებისათვის (**მაგალითად,** სააუდიტორიო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით, უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ მიიღო გადაწყვეტილება პირველი კორპუსის აუდიტორები აღეჭურვა თანამედროვე დონის ავეჯით და ტექნოლოგიებით, აშენდა თანამედროვე მოთხოვნებზე ორიენტირებული საბიბლიოთეკო კომპლექსი, რომელიც მიმდინარე წლის აპრილში შევა ექსპლუატაციაში, საუნივერსიტეტო არჩევით სასწავლო კურსად „ლიდერობა და ცვლილებების მართვის“ შეთავაზება სტუდენტებისთვის).

# ქ.ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი ბიზნეს ადმინისტრირება

## 2017-2018 სასწავლო წლის

## პირველკურსელთა კმაყოფილების კითხვარის ანალიზი

გამოკითხვაში მონაწილება მიიღო 49 სტუდენტმა

გამოკითხვა ჩატარდა online

https://docs.google.com/forms/d/e/1FAIpQLSd7_KpuqBNflb6sLgpn7NmhWgdnWFcz8i5_buVi7vfJJb55Uw/viewform?usp=sf_link


რომელ პროგრამაზე სწავლობთ?
ბიზნეს ადმინისტრირება
სამართალი
სოციალური მეცნიერებები
ეკონომიკა

# რა არის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩაბარების ძირითადი მიზეზი?

ჩემი მომავალი იქმნება აქ!!

კარგი განათლების მიღება, ცხოვრება რომ ავიწყო

წარმატებული კარიერის შექმნა

უკეთესი განათლება და სტუდენტზე მორგებული გრაფიკი

ოჯახური პირობები

ქალაქ ქუთაისში ცხოვრების სურვილი

ადგილმდებარეობა

ქუთაისში სხვა კარგი უნივერსიტეტი არ მეგულებოდა.

რათა გამოვიდე კარგი,წარმატებული ბიზნესმენი. ვცდილობ გავამართლო ჩემი მიზანი.

ადგილობრივ სხვა უნივერსიტეტ(ებ)თან შედარებით უკეთესი მდგომარეობა და სანდოობა.

ფინანსური მდგომარეობა

გაცვლითი პროგრამა და ქუთაისში საუკეთესო ინივერსიტეტის სიყვარული

ჩემი ოჯახი

სამსახური

## სწავლის დაწყებისთანავე გაეცანით თუ არა საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსს?



# კმაყოფილი ხართ თუ არა სასწავლო გრაფიკით (თეორიული სწავლებისა და პრაქტიკული მეცადინეობების ცხრილი, სწავლის დაწყებისა და დამთავრების დრო)



# გაგაცნოთ თუ არა სილაბუსის შინაარსი ლექტორებმა?



# შეაფასეთ ტუტორების მუშაობა (10 ბალიანი სისტემით: min 1 ბალი - max 10 ბალი)






შეაფასეთ ბიბლიოთეკის რესურსები და მუშაობა (10 ბალიანი სისტემით: **min 1** ბალი - **max 10** ბალი), რას გამოასწორებდით

# შეაფასეთ ელექტრონული დეკანატის მუშაობა (10 ბალიანი სისტემით) : min 1 ბალი - max 10 ბალი



# შეაფასეთ კორპორაციული ფოსტის მუშაობა (10 ბალიანი სისტემით: min 1 ბალი - max 10 ბალი)



# შეაფასეთ უნივერსიტეტში არსებული ფიზიკური გარემო? (10 ბალიანი სისტემით: **min 1** ბალი - **max 10** ბალი) რას გამოასწორებდით?



## როგორ შეაფასებდით ზოგადად უნივერსიტეტში არსებულ სიტუაციას? (10 ბალიანი სისტემით: **min 1** ბალი - **max 10** ბალი) რას გამოასწორებდით?



# სხვა კომენტარი

- ძალიან მომწონს აწსუ!!
- უნივერსიტეტის ეზოში დასალევი წყალი რომ მოდიოდეს კარგი იქნებოდა;
- ძალიან გამაღიზიანებელია როდესაც შენობაში ეწევიან, მინდა რომ აიკრძალოს;
- ლექტორებთან კომუნიკაციის პრობლემა;
- მეტი მეგობრული დამოკიდებულება მინდა იყოს ლექტორსა და სტუდენტს შორის;
- მეტი კვალიფიციური ლექტორი
- აუცილებელია ყველა აუდიტორიის მოწესრიგება, კომპიუტერული ტექნიკით უზრუნველყოფა;
- ფულის გადახდა დამატებით  არ უნდა გვჭირდებოდეს საგნებში (მათემატიკა)
- მე-18 კორპუსის ბიბლიოტეკაში ლიტერატურის დეფიციტი;
- სასურველია სილაბუსში არსებულ ძირითად და დამატებით ლიტერატურასთან სტუდენტისთვის წვდომის მეტი სიმარტივე;
- შეიქმნას ორგანიზებული ელ ბიბლიოთეკა სადაც ყველა საჭირო სახელმძღვანელოს ელ. ვერსია განთავსდება.

- მათემატიკის სირთულე და ჩარჩენის მოლოდინი))
- აუცილებელია სლაიდებით ლექციების წარმართვა.
- კითხვაზე ვერ ვღებულობთ დროულად პასუხს;
- კომუნიკაცია ხარისხის სამსახურთან არის კარგი რასაც ვერ ვიტყვი ელ დეკანატზე და სამდივნოზე;
- გთხოვთ დაგვეხმაროთ მათემატიკის საგანში;
- წარმატებები უნივერსიტეტს, მე კი დიპლომი 4 წლის შემდეგ!

<u>ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები</u> სტუდენტთა გამოკითხვას აწარმოებენ შემდეგი მიზნით:

- ✓ სააუდიტორიო მუშაობის შეფასება;
- ✓ სტუდენტთა შეფასების მეთოდების, ფორმების და კრიტერიუმების სილაბუსთან შესაბამისობის კვლევა **(იხ.დანართი 3; დანართი 4).**

**დანართი 3**

**სტუდენტთა გამოკითხვის ანალიზი**
**„სოციალური მეცნიერებების“ საბაკალავრო პროგრამა**
**2016 სასწავლო წელი, ოქტომბერი**

კვლევა განხორციელდა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტიეტის, ბიზნესის სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, სოციალური მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამაში არსებული გამოწვევების გამოსავლენად.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო **59** (II-IV კურსის სტუდენტები) რესპოდენტმა. მათთვის მიწოდებულ იქნა ანკეტა (იხ. დანართი 1), რომელიც ითვალისწინებდა მათ დამოკიდებულებას არსებული პროგრამისადმი, შეთავაზებულ იქნა, თუ რა ტიპის ცვლილებებს დაუჭერდნენ ისინი მხარს.

კვლევამ გვიჩვენა შემდეგი შედეგები:

**I. სტუდენტებს შესაძლებლობა ჰქონდათ, შეეფასებინათ სოციალურ მეცნიერებათა პროგრამა 10-ბალიანი სისტემით (იხ. ცხრილი №1):**




ცხრილი №1

მიღებული შედეგების შესაბამისად სტუდენტთა მიერ სოციალურ მეცნიერებათა პროგრამა შეფასებულია საშუალოდ 5 ქულით.

**II კითხვაზე - „საჭიროა თუ არა აღნიშნულ პროგრამაში „არჩევითი მოდულების“ არსებობა”, დაფიქსირდა შემდეგი შედეგი (იხ. ცხრილი №2-№3):**




ცხრილი №2

სტუდენტთა უმრავლესობა - **58%** მიიჩნევს, რომ აღნიშნულ პროგრამაში საჭირო არის ,,არჩევითი მოდულების'' არსებობა, ვინაიდან მათ ეძლევათ საშუალება დაეუფლონ მრავალფეროვან სასწავლო კურსებს, შემდეგ კი სურვილის შესაბამისად მოახდინონ სპეციალიზება მოდულის სახით.

აღსანიშნავია, რომ არჩევით მოდულთა მომხრეების გარკვეულმა ნაწილმა წინააღმდეგობრივი პოზიციები დააფიქსირა, კერძოდ ერთის მხრივ ეთანხმებიან მოდულთა არჩევითობას, თუმცა მეორე მხრივ ითხოვენ ჟურნალისტიკის ცალკე პროგრამად; ხან კი ფაკულტეტად გამოყოფას. მსგავსი დაბნეულობა გამოწვეულია თავად სტუდენტთა მიერ ფაკულტეტის, პროგრამისა და მოდულების ცნებათა სათანადო დონეზე არცოდნით. რამდენადაც მიზერულად არ უნდა მოგვეჩვენოს სტუდენტთა ტერმინოლოგიური შეცდომები, შედეგები არასახარბიელოა, ვინაიდან თუ მათ არ ეცოდინებათ კონკრეტულად რას ითხოვენ, უნივერსიტეტი ვერ შეძლებს განცხადებებზე რელევანტური რეაგირების მოხდენას.

აღსანიშნავია, რომ სტუდენტთა **20%** საჭიროდ არ მიიჩნევს არჩევით მოდულთა არსებობას. რესპოდენტები აღნიშნავენ, რომ სოციალურ მეცნიერებათა პროგრამა მოიცავს ბევრ იმგვარ სასწავლო კურსს (მაგ. ეკონომიკა და სტატისტიკა), რომელთა გაძლიერებული სწავლება არ უწყობს ხელს კონკრეტული მოდულის სტუდენტს კვალიფიციური ცოდნა მიიღოს სპეციალიზაციის კუთხით.




ცხრილი №3

**III კითხვაზე - „ხართ თუ არა კმაყოფილი სააუდიტორიო მუშაობის შედეგებით, რას შეცვლიდით?" - დაფიქსირდა შემდეგი შედეგი (იხ. ცხრილი №4;№5):**




ცხრილი №4

სტუდენტთა **31%** კმაყოფილია უნივერსიტეტში არსებული სააუდიტორიო მუშაობის შედეგებით; **25%** კი გამოთქვამს უკმაყოფილებას, რის საფუძვლად სხვადასხვა გარემოებას ასახელებენ:
ლიტერატურის ხელმისაწვდომობის პრობლემები; ლექტორთა მიერ სალექციო კურსის დროს ძირითადი თემატიკიდან გადახრა; ელექტრონული ლექციების შემოღების აუცილებლობა; ტექნიკური რესურსის განახლების საჭიროება; ლექტორთა გულისხმიერებისა და გულითადი დამოკიდებულების ნაკლებობა და მათ მიერ სალექციო კურსების გაცდენის სიხშირე.
სტუდენტთა **44%** საერთოდ არ აფიქსირებს საკუთარ მოსაზრებას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.




ცხრილი №5

**IV კითხვაზე - „რა მეთოდებით ავითარებენ ლექტორები პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს?"-** სტუდენტთა უმეტესობა თავს იკავებს პასუხის გაცემისაგან; შესაბამისად, ცალსახა დასკვნების გამოტანა რთულდება. თუმცა, აღნიშნავენ, რომ სწავლა/სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენება, როგორიცაა შემთხვევის ანალიზი (Case Study); დებატები; ტექნიკური რესურსით უზრუნველყოფილი ინტერაქტიული მუშაობა არ არის ჩვეული აღნიშნული პროგრამისათვის. ლექტორები მიმართავენ პრაქტიკულ მეცადინეობათა ჩატარების მოძველებულ მეთოდებს, როგორიცაა ზეპირი გამოკითხვა, რაც

არ უვითარებს სტუდენტებს კრიტიკული აზროვნებისა და ჯგუფური მუშაობის უნარ-ჩვევებს. შესაბამისად, სასწავლო კურსები ვერ უზრუნველყოფენ კურიკულუმით გათვალისწინებული კომპეტენციების ათვისებას, განსაკუთრებით დასკვნის გაკეთების; კომუნიკაციისა და ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარებს.

**კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ სტუდენტები:**

1. არ ემხრობიან სოციალური მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამის მოდულებად ჩაშლას, რადგანაც მიაჩნიათ, რომ სტუდენტმა თავიდანვე უნდა იცოდეს რაზე აბარებს და რა პროფესიას უნდა დაეუფლოს;
2. მიიჩნევენ, რომ მოდულების არჩევა არაკანონიერად ხდება;
3. ხაზს უსვამენ ადმინისტრაციის, განსაკუთრებით სამდივნოს მხრიდან უხეშ დამოკიდებულებას;
4. გრძნობენ სტუდენტთა მხარდაჭერის ცენტრიდან ცინიკურ დამოკიდებულებას;
5. არ მიაჩნიათ მიზანშეწონილად ეკონომიკისა და სტატისტიკის სწავლება;
6. მეორე კურსი ითხოვს პირველ ცვლაში სწავლას;
7. აშფოთებთ ლექტორებისაგან მეცადინეობის ხშირი გაცდენა;
8. სააუდიტორიო მუშაობა არ მიმდინარეობს სწავლების თანამედროვე მეთოდებით, მხოლოდ სემინარის გამოკითხვას აქვს ადგილი
9. ითხოვენ:
   - ლექციების ჩატარებას სლაიდებით, ელექტრონული საშუალებებით
   - ჟურნალისტიკის მოდულის ცალკე საბაკალავრო პროგრამად შექმნას
   - ლექტორებისგან მეტ სითბოს და ყურადღებას
   - მაინორ პროგრამის ჩასმას
   - უცხო ენის სწავლების გაგრძელებას
   - თანამედროვე ლიტერატურით სწავლებას
   - მოწვეული პროფესიონალების საჯარო ლექციებს

**რეკომენდაციები:**

1. 2017 წლის აკრედიტაციისთვის სოციალური მეცნიერებების დეპარტამენტმა წარმოადგინოს ჟურნალისტიკის და საერთაშორსიოს ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამები ცალ-ცალკე;
2. საბაკალავრო პროგრამები აიგონ MAJOR-MAINOR-ის პრინციპით;
3. სოციალური მეცნიერებების დეპარტამენტის აკადემიური პერსონალი გადაემზადოს სწავლა/სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდებში;
4. ფაკულტეტის ადმინისტრიციამ, განსაკუთრებით სამდივნომ შეცვალოს სტუდენტებისადმი დამოკიდებულება;
5. ლექტორებმა იხელმძღვანელონ თანამედროვე ლიტერატურით;
6. ფაკულტეტის ბონუსებიდან მოხდეს აუდიტორიების პროექტორით უზრუნველყოფა.

**კვლევა ჩაატარა ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა:**

1. **ნ.შონია - სამსახურის ხელმძღვანელი**
2. **თ.საჯაია - სპეციალისტი**
3. **გ.აბაზაძე - ტუტორი**

**20 ოქტომბერი, 2016 წ**

ფაკულტეტის ხარსხის უზრუნველყოფის სამსახური კვლევის შედეგებს უკეთებს ანალიზს, აყალიბებს ლოგიკურ რეკომენდაციებს და აგზავნის შესაბამის დეპარატამნტებში განსახილვევად. კვლევის სედეგეზე რეგირების საკიტხების განხილვა და დამტკიცება ხდება ფაკულტეტის საბჭოზე.

**დანართი 4**

# საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტი

## ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი

საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ 2015-2016 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში, მე-6 და მე-7 სასწავლო კვირაში ჩატარდა სტუდენტთა გამოკითხვა და მიღებული შედეგების ანალიზი.

გამოკითხვა ემსახურებოდა შემდეგ მიზნებს:

1. ლექტორისა და სასწავლო კურსის შეფასება,
2. ფაკულტეტზე სასწავლო გარემოსა და სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებელ ღონისძიებების გამოვლენა.

გამოკიხვაში მონაწილეობდა ფაკულტეტის 120 სტუდენტი (გამოყენებული კითხვარების ფორმა თან ერთვის, იხ. დანართი 1).

### <u>მიღებული შედეგების ანალიზი</u>

### 1. ლექტორისა და სასწავლო კურსის შეფასება

გამოკითხვა განხორციელდა წინასწარ შედგენილი კითხვარების საშუალებით.

სპეციალობათა მიხედვით თითოეული ჯგუფისათვის კითხვარი მოიცავდა მიმდინარე სასწავლო კურსისა და ამ კურსის წამყვანი ლექტორის შეფასებას.

გამოკითხვის შედეგების განზოგადებულმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ სასწავლო პროცესში ძლიერ მხარეს წარმოადგენს შემდეგი პუნქტები:

- ლექტორი ყოველთვის დროზე მოდის ლექციებზე და დათქმულ შეხვედრებზე;
- ლექტორი კარგადაა მომზადებული თითოეული ლექციისთვის.

აღნიშნულმა პუნქტებმა სტუდენტებიდან მიიღეს ყველაზე მაღალი პროცენტული შეფასება.

შედეგების ანალიზმა ასევე აჩვენა, რომ საყურადღებო საკითხებს წარმოადგენს კითხვარის შემდეგი პუნქტები:

- სტუდენტებმა იციან, რას უნდა მოელოდნენ ლექციისგან, ლექტორი წინასწარ აცნობებს განსახილველ თემებს;
- ლექტორი მზადაა კლასგარეშე კონსულტაციები ჩაატაროს სტუდენტებთან.

აღნიშნულმა პუნქტებმა სტუდენტებიდან მიიღეს ყველაზე დაბალი პროცენტული შეფასება.

(იხილეთ დიაგრამა 1. ლექტორისა და სასწავლო კურსის შეფასების ანალიზის ერთ-ერთი მაგალითი).

შესაბამისად, სწავლების ხარისხის ამაღლების მიზნით, ფაკულტეტის საბჭოზე და დეპარტამენტებზე ლექტორ-მასწავლებლებთან შეხვედრის დროს განხილულ იქნება აღნიშნული საკითხები, სადაც ფაკულტეტის ხარისხის უფრუნველყოფის სამსახური უფროსი წარადგენს გამოვლენილი საკითხების გაუმჯობესების ღონისძიებებს.

გამოკითხვის შედეგების მიხედვით გაანალიზებულ იქნა თითოეული სასწავლო დისციპლინის წამყვანი ლექტორის შეფასების ნიუანსები. მიღებული მონაცემთა ანალიზის შედეგად გამოვლინდა ნაკლოვანი მხარეები. ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსის მიერ ჩატარებული ანალიზი და მონაცემები წარდგენილი იქნება ინდივიდუალურად ყველა პედაგოგის წინაშე.

დიაგრამა 1.



## 2. ფაკულტეტზე სასწავლო გარემოსა და სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებელი ღონისძიებების გამოვლენა

ფაკულტეტზე სასწავლო გარემოსა და სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებელი ღონისძიებების გამოვლენის მიზნით კითხვარი შეიცავდა ღონისძიებათა ნუსხას (12 ღონისძიება + 3 თავისუფალი ველი ღონისძიებათა დასამატებლად), რომელთათვისაც სტუდენტებს უნდა მიენიჭებინათ პრიორიტეტები.

გამოკითხვის შედეგები მოცემულია დიაგრამა 2-ზე.

დიაგრამა 2.



გამოკითხვის შედეგად (დიაგრამა 2) ადგილები შემდეგნაირად გადანაწილდა:

| ადგილი | ღონისძიება |
|---|---|
| I | ლექტორების სტუდენტებისადმი დამოკიდებულება |
| II | ფაკულტეტის დეკანატის კორპუსის მოწესრიგება (+ადგილმდებარეობის ცვლილება) |
| | სასწავლო მასალებით უზრუნველყოფა |
| III | ბიბლიოთეკის მომსახურების გაუმჯობესება |
| | სასწავლო კორპუსების ინტერიერის მოწესრიგება |
| | პროფესორ-მასწავლებელთა კვალიფიკაციის გაუმჯობესება |
| IV | აუდიტორიების მოწესრიგება |
| V | სასწავლო ცხრილის შედგენის დახვეწა |
| | ლაბორატორიული ბაზის გამართვა |
| | მე-8 კორპუსის გათბობა |
| VI | შეფასების სისტემის დახვეწა |

მიღებული შედეგები განხილულ იქნება ფაკულტეტის ხელმძღვანელობასთან შემდგომი რეაგირების მიზნით.

საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის

ხარისხის სამსახურის უფროსი:  პროფ. ციცინო თურქაძე

**<u>ლექტორ-მასწავლებლები</u>** სტუდენტთა გამოკითხვას აწარმოებენ საკუთარი თავისა და სასწავლო კურსის შეფასების მიზნით, რათა გააუმჯობესონ მომავალში სააუდიტორიო მუშაობის მეთოდები და დახვეწონ სასწავლო კურსის შინაარსი და შეფასების სისტემა **(იხ.დანართი 5; დანართი 6).** კვლევის შედეგების ამსახველი მასალები ლექტორებმა დეპარტამენტებს უნდა წარუდგინონ შემდგომი რეაგირებისთვის.

**დანართი 5**.

სასწავლო კურსი - **,,ეკონომიკის პრინციპები 1"**
ლექტორის (ლექტორების) - **შ.ლომინაშვილი, ქ.შონია**
ძვირფასო სტუდენტებო, გთხოვთ ყურადღებით გაეცნოთ კითხვებს და ობიექტურად შეაფასოთ სასწავლო კურსის სწავლა/სწავლების დონე და ლექტორების აუდიტორიაში მუშაობის ხარისხი.

| | № | **გთხოვთ, აღნიშნოთ სავარაუდო პასუხის მხოლოდ ერთი ვარიანტი** | **დიახ** | **არა** | **ნაწილობრივ** | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 1. | სასწავლო პროცესის დასაწყისში ლექტორმა გაგაცნოთ თუ არა სილაბუსი და მისი აუცილებელი მოთხოვნები, განსაკუთრებით შეფასების კრიტერიუმები; | 90% | 5% | 5% | |
| | 2. | ლექტორი გასაგებად ხსნის თუ არა ლექციას | 60% | 12.5% | 27.5% | |
| | 3. | ლექტორის მიერ გამოყენებული მეთოდური ხერხები ხელს უწყობს თუ არა სასწავლო მასალის გაგებას | 35% | 27.5% | 35% | |
| | 4. | ლექტორის მიერ რეკომენდირებული ლიტერატურა არის თუ არა ხელმისაწვდომი თქვენთვის | 52.5% | 22.5% | 25% | |
| | 5. | ლექტორი ობიექტურად აფასებს თუ არა სტუდენტის ცოდნას სემესტრის განმავლობაში | | | | |
| | | შ.ლომინაშვილი | 40% | 20% | 25% | |
| | | ქ.შონია | 52.5% | 17.5% | 15% | |
| | 6. | არის თუ არა ლექტორი თქვენს მიმართ კომუნიკაბელური: | | | | |
| | | შ.ლომინაშვილი | 62.5% | 12.5% | 5% | |
| | | ქ.შონია | 70% | 5% | 15% | |
| | 7. | ხართ თუ არა აქტიურად ჩართული ლექციის ახსნის პროცესში | 20% | 7.5% | 65% | |
| | 8. | ლექტორი ლექციის ბოლოს იტოვებს თუ არა დროს კითხვების დასასმელად და დავალების მოსაცემად | 32.5% | 37.5% | 17.5% | |
| | 9. | ისურვებდით თუ არა სხვა სალექციო კურსის მოსმენას, რომელსაც ეს ლექტორი გაუძღვებოდა | 45% | 35% | 20% | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 10. | პრაქტიკული მეცადინეობა ტარდება თუ არა სილაბუსში მითითებული მეთოდების მიხედვით | 67.5% | 10% | 22.5% | |
| | 11. | ახერხებთ თუ არა თეორიული ცოდნის გაღრმავებას პრაქტიკულ მეცადინეობაზე | 65% | 12.5% | 22.5% | |
| | 12. | პრაქტიკულის ლექტორი ახდენს თუ არა თქვენს ყოველკვირეულ შეფასებას | 90% | 5% | 5% | |
| | 13. | ხართ თუ არა კმაყოფილი სასწავლო კურსით გათვალისწინებული შეფასების სისტემით | 52.5% | 22.5% | 22.5% | |
| | 14. | ხართ თუ არა კმაყოფილი ქეთევან შონიას მიერ ჩატარებული პრაქტიკული მეცადინეობებით | 75% | 10% | 15% | |

**გმადლობთ თანამშრომლობისათვის!**

დანართი 6

სასწავლო კურსი - **,,მათემატიკა ეკონომისტებისათვის 1”**
ლექტორის (ლექტორების) - **ე. ჯაფარიძე, ლ. ჯაფარიძე, ი. წივწივაძე**
ძვირფასო სტუდენტებო, გთხოვთ ყურადღებით გაეცნოთ კითხვებს და ობიექტურად შეაფასოთ სასწავლო კურსის სწავლა/სწავლების დონე და ლექტორების აუდიტორიაში მუშაობის ხარისხი.

| № | | **გთხოვთ, აღნიშნოთ სავარაუდო პასუხის მხოლოდ ერთი ვარიანტი** | **დიახ** | **არა** | **ნაწილობრივ** | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 1. | სასწავლო პროცესის დასაწყისში ლექტორმა გაგაცნოთ თუ არა სილაბუსი და მისი აუცილებელი მოთხოვნები, განსაკუთრებით შეფასების კრიტერიუმები; | 990% | 7.5% | 2.5% | |
| | 2. | ლექტორი გასაგებად ხსნის თუ არა ლექციას | 57.5% | 30% | 3.5% | |
| | 3. | ლექტორის მიერ გამოყენებული მეთოდური ხერხები ხელს უწყობს თუ არა სასწავლო მასალის გაგებას | 45% | 17.5% | 2.5% | |
| | 4. | ლექტორის მიერ რეკომენდირებული ლიტერატურა არის თუ არა ხელმისაწვდომი თქვენთვის | | | | |
| | 5. | ლექტორი ობიექტურად აფასებს თუ არა სტუდენტის ცოდნას სემესტრის განმავლობაში | | | | |
| | | ე. ჯაფარიძე | 72% | 12.5% | 5% | |
| | | ლ. ჯაფარიძე | 30% | 10% | 4% | |
| | | ი. წივწივაძე | 11% | 10% | 4% | |
| | | არის თუ არა ლექტორი თქვენს მიმართ კომუნიკაბელური: | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 6. | ე. ჯაფარიძე | 67.5% | 5% | 17.5% | |
| | | ლ. ჯაფარიძე | 30% | 0% | 12.5% | |
| | | ი. წივწივაძე | 5% | 12.5% | 50% | |
| | 7. | ხართ თუ არა აქტიურად ჩართული ლექციის ახსნის პროცესში | 52.5% | 15% | 32.5% | |
| | 8. | ლექტორი ლექციის ბოლოს იტოვებს თუ არა დროს კითხვების დასასმელად და დავალების მოსაცემად | 42.5% | 20% | 37.5% | |
| | 9. | ისურვებდით თუ არა სხვა სალექციო კურსის მოსმენას, რომელსაც ეს ლექტორი გაუძღვებოდა | 47.5% | 40% | 12.5% | |
| | 10. | პრაქტიკული მეცადინეობა ტარდება თუ არა სილაბუსში მითითებული მეთოდების მიხედვით | 97.5% | 5% | 15% | |
| | 11. | ახერხებთ თუ არა თეორიული ცოდნის გაღრმავებას პრაქტიკულ მეცადინეობაზე | 70% | 12.5% | 17.5% | |
| | 12. | პრაქტიკულის ლექტორი ახდენს თუ არა თქვენს ყოველკვირეულ შეფასებას | 67.5% | 22.5% | 10% | |
| | 13. | ხართ თუ არა კმაყოფილი სასწავლო კურსით გათვალისწინებული შეფასების სისტემით | 60% | 12.5% | 25% | |
| | 14. | ხართ თუ არა კმაყოფილი ლელა ჯაფარიძის მიერ ჩატარებული პრაქტიკული მეცადინეობებით | 45% | 12.5% | 4% | |
| | 15. | ხართ თუ არა კმაყოფილი ირმა წივწივაძის მიერ ჩატარებული პრაქტიკული მეცადინეობებით | 60% | 7.5% | 12.5% | |
| | **გმადლობთ თანამშრომლობისათვის!** | | | | | |

კვლევის შედეგები განიხილება ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და პროგრამის ხელმძღვანელების მიერ და ხდება შემდგომი სრულყოფის გზების დასახვა - შეფასების სისტემის გაუმჯობესება (2017 წლის ცვლილებები შეფასების სისტემაში), საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსების დახვეწა და განახლება, სასწვალო გარემოს და საბიბლიოთეკო ფონდის განახლება, სტუდენტური სერვისების გაუმჯობესება და ლექტორ-მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება სხვადასხვა მიმარტულებით.